

JEL Classification: H52, I21, I28

<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.020>

MAIN CHALLENGES OF STATE POLICY OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA

GIULI GIGUASHVILI**Academic Doctor of Economics, Professor**

Gori State Teaching University, Georgia

giuligiguashvili@gmail.com

TAMAR MAKASARASHVILI**Academic Doctor of Economics, Professor**

Gori State Teaching University, Georgia

tmakasarashvili@gmail.com

Abstract. The proper education policy of the state and the efficiency of investment invested in the education system will ensure the success of the education system. Reforms in Georgia are going on as a continuous process. Despite some positive results, the state failed to provide sustainable development of the system under poor financing.

The research aims to study the problems related to the quality of education, its financing and availability. Evaluation of the main directions of the state policy of education and elaboration of certain recommendations for the improvement of the system.

In the paper opinions are expressed on higher education budgeting, promotion of education financing as part of social responsibility of business, main challenges of the new government initiative - „Education - Road to Freedom” are discussed.

KEYWORDS: EDUCATION POLICY, HIGHER EDUCATION FINANCING.

For citation: Giguashvili, G., Makasarashvili, T. (2020). Main Challenges of State Policy of Higher Education in Georgia. *Globalization and Business, №9*, pp. 163-170 (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.020>

JEL Classification: H52, I21, I28

<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.020>

უმაღლესი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები საქართველოში

გიული გიგუაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
giuligiguashvili@gmail.com

თამარ მაკასარაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
tmakasarashvili@gmail.com

საკვანძო სიტყვები: განათლების პოლიტიკა, უმაღლესი განათლების დაფინანსება.

ციტირებისთვის: გიგუაშვილი, გ., მაკასარაშვილი, თ. (2020). უმაღლესი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები საქართველოში. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №9, გვ. 164-170.
<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.020>

საქართველოს მდგრადი განვითარების, ეკონომიკის სწრაფი ზრდის უზრუნველყოფის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით განსახორციელებელი რეფორმების ნუსხაში მთავრობამ განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა ადამიანური კაპიტალის სრულყოფას და მისი როლის ზრდას ეკონომიკის განვითარებაში. ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტის – განათლების რეფორმის ახალ ეტაპზე (2019–2022წწ) დაგეგმილია ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, სამიზნე ჯგუფების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად, უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეულად გააზრებას, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, კონკურენტუნარიანობის გაზრდას, განათლებისა და მეცნიერების კავშირის გაძლიერებას. (<https://mof.ge/5187>)

ადამიანური კაპიტალის განვითარება ერთმნიშვნელოვნად განიხილება როგორც ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური და საზოგადოებრივი წინსვლის უმთავრესი წინაპირობა. აღნიშნული რეფორმის კომპლექსურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, მისი წარმატებით განხორციელება საჭიროებს განათლებაზე მიმართული რესურსების ზრდას. არსებული ხედვის თანახმად, სამთავრობო პროგრამაში „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ უმთავრესი პრიორიტეტი მიენიჭა განათლების სისტემის ფუნდამენტურ რეფორმას და მასშტაბურ ინვესტიციებს განათლების სფეროში, დაიგეგმა ეტაპობრივად ამ მიმართულებაზე გაწეული ხარჯების ზრდა და კერძო სექტორ-

თან ერთად განათლების დაფინანსება მშპ–თან მიმართებაში ორნიშნა მაჩვენებლის ფარგლებში. (<https://mof.ge/5187>, pp. 36)

მთავრობის ახალი ინიციატივით – „განათლება – გზა თავისუფლებისკენ“, დაგეგმილია განათლების სექტორის დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა. ინიციატივის მიხედვით, „2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული მილიარდ 485 მილიონი ლარის ნაცვლად მიმდინარე წელს განათლების სექტორზე 1, 6 მილიარდი გამოიყოფა, 2020 წელს – 2 მილიარდი, 2021 წელს – 2,5 მილიარდი, ხოლო 2022 წელს ის გაუტოლდება მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) 6 პროცენტს, ანუ 3,4 მილიარდ ლარს. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფინეთთან, ნორვეგიასთან და სინგაპურთან ერთად, საქართველო გახდება მსოფლიოს მეოთხე ქვეყანა, რომლის უმთავრესი პრიორიტეტი განათლებაა.“ (<https://commerciant.ge/>)

უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფაში განსაკუთრებული როლი აკისრია სახელმწიფოს მიერ სწორად განსაზღვრულ საგანმანათლებლო პოლიტიკას, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას და ადამიანურ კაპიტალში ჩადებულ ინვესტიციებს. (Law, 2011) საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებების დანერგვის დღიდან, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების მიუხედავად სისტემა კვლავ მრავალი პრობლემის წინაშე დგას: ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების, უმუშევრობის მაღალი დონისა და სიღარიბის სავალალო მაჩვენებლების პირობებში, კიდევ უფრო გამწვავდა უმაღლესი განათლების ხარისხის სრულყოფისა და ხელმისაწვდომობის პრობლემა. საჭიროა რადიკალური ცვლილებების განხორციელება

კონკურენტუნარიანი უმაღლესი განათლების, არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსების რაციონალური და მიზნობრივი გამოყენების, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიების მიმართულებით (Giguashvili, 2016).

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული განათლების მიღების და მისი ფორმის შერჩევის თანაბარი უფლება ყველა მოქალაქისათვის, ასევე ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. (<https://matsne.gov.ge/>) მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი განათლების სისტემის ინსტიტუციური მოწყობის, პროცესების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში.

ისტორიულად, სახელმწიფოს ყოველთვის ეკავა განსაზღვრული როლი განათლების სისტემის განვითარებაში, თუმცა მეცნიერთა მოსაზრებები ხშირად რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან (Giguashvili 2016). კლასიკური ეკონომიკური თეორიის ფუძემდებელი ადამ სმიტი ჯერ კიდევ 1776 წელს ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ მიუთითებდა რომ შრომის დანაწილებას გააჩნია ზოგიერთი არასასურველი თანამდევი ეფექტი, რომელიც შეძლება გაანეიტრალოს განათლების სახელმწიფო სისტემამ, ის ფიქრობდა, რომ უმაღლეს განათლებაში ანაზღაურება უნდა ხდებოდეს შედეგების მიხედვით... ინგლისში მრავალი სკოლა და კოლეჯი ფინანსდებოდა შეწირულობებით, ადამ სმიტმა სწორედ შეწირულობების ეს სისტემა გააკრიტიკა. მისი აზრით, სახელმწიფოს მხარდაჭერა განათლებაში უნდა გამოხატულიყო შენობებისა და ნაგებობების გადაცემით განათლების მესვეურთათვის, ამასთან, მასწავლებლების შრომის ანაზღაურება უნდა ყოფილიყო დიფერენცირებული. (Sartania, 2001:96)

ბრიტანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე – ჯონ სტიუარტ მილი (John Stewart Mill) 1848 წელს ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“, განათლების სისტემაში საბაზრო მექანიზმის დამკვიდრებას არაეფექტიანად მიიჩნევდა. მისი აზრით, მხოლოდ ხანგრძლივი გამოცდილებით შეიძლება განათლების ხარისხის შეფასება, ამიტომ მის მყიდველს წინასწარ არ შეუძლია იცოდეს რას ყიდულობს იგი და რა ხარისხისაა ეს საქონელი. მილი მიზანშეწონილად მიიჩნევდა ღირებთა ფუნქციისათვის სოციალური დოტაციების გაცემასა და სახელმწიფო სკოლების არსებობას ქვეყნის შორეულ რაიონებში. განათლების სისტემის სრულყოფის პასუხისმგებლობას იგი სახელმწიფოს ანიჭებდა და თვლიდა, რომ სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო დაწყებითი სკოლების განვითარება ფინანსური მხარდაჭერის გზით. (Sartania, 2001:97)

ისტორიული მიდგომების მსგავსად, დღესაც გრძელდება

დისკუსია განათლების სისტემის ინსტიტუციონალური მოწყობის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების, განათლების სისტემის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების შესახებ.

ამერიკელი მეცნიერი, „ეკონომიკის პრინციპები“-ს სახელმძღვანელოს ავტორი გრეგორი მენქიუ დამაჯერებლად ასაბუთებს უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების მთავარ მოტივს. იგი განათლებას განიხილავს დადებითი გარეგანი ეფექტების საუკეთესო მაგალითად და აღნიშნავს, რომ „საზოგადოდ, განათლების სარგებლობა უფრო პირადულია, განათლებული ადამიანი უფრო ნაყოფიერად მუშაობს და ამის გამო უფრო მაღალ ხელფასსაც იღებს. თუმცა, ამ პირადი სარგებლობის გარდა, განათლებას დადებითი გარეგანი ეფექტებიც მოჰყვება. ერთი დადებითი ეფექტი ისაა, რომ უფრო მცოდნე მოსახლეობა ნიშნავს მეტად ინფორმირებულ ამომრჩეველს, რაც ყველასთვის უკეთესი მთავრობის არჩევას გულისხმობს. მეორე დადებითი ეფექტი ისაა, რომ უფრო მცოდნე საზოგადოება აუმჯობესებს კრიმინოგენურ სიტუაციას. მესამე დადებითი ეფექტი ის არის, რომ უფრო განათლებული საზოგადოება ხელს უწყობს განვითარებას და ტექნოლოგიური მიღწევების გავრცელებას, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის დონის ამაღლებას. სწორედ ამ სამი დადებითი გარეგანი ეფექტის გამო ახდენს მთავრობა განათლების სფეროს სუბსიდირებას.“ (Mankiw, 2008:225)

ქართველი ეკონომისტი ვახტანგ სართანია ნაშრომში – „განათლების ეკონომიკა (ისტორია, თეორია, პერსპექტივა)“ განიხილავს რა განათლების განვითარებაში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებულ საკითხებს, გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „დაწყებითი და საშუალო განათლება არის სწავლება საბაზისო განათლების მისაღებად და იგი უზრუნველყოფს უფრო მეტად სოციალურ სარგებელს... უმაღლეს განათლებაში სახელმწიფოს მხარდაჭერა ხშირად მოტივირებულია გარე ეფექტების მოქმედებით და ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება მაშინ, როცა გარე ეფექტების ცვლილებები მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის“. მისივე შეფასებით, უმაღლესი განათლება უზრუნველყოფს ლიდერობას დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ხოლო განათლების ლიბერალური ხელოვნება უზრუნველყოფს მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მრავალი ასპექტის ფართო გავრცელებას და ეხმარება ისეთი ადამიანების ფორმირებას, რომლებიც მზად იქნებიან დემოკრატიის გადასარჩენად და განსავითარებლად. ხელისუფლება მხარს უჭერს და უზრუნველყოფს სისტემურ განათლებას, როგორც დემოკრატიის გაძლიერების საშუალებას. ხელისუფლების ჩარევით იზრდება განათლების ინვესტირება, ხელს უწყობს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ მეცნიერის აზრით, ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განათლების სისტემის ყველა ნიუანსი. (Sartania, 2001:103)

დღეისათვის განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში უმაღლესი განათლების ფინანსური უზრუნველყოფა სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს. (Welch, 2017). ზოგადად, სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურას განსაზღვრავს საჯარო სერვისები, რაც თავის მხრივ კეთილდღეობის მოდელზეა დამოკიდებული. ცნობილი დანიელი მეცნიერი გოსტა ესპინგ-ანდერსენი გვთავაზობს კეთილდღეობის სამ მოდელს: ნორდიკულ, კონსერვატიულ და ლიბერალურს. (Khundadze, 2017) ნორდიკულ (ანუ იგივე სოციალ-დემორატიულ) მოდელში სახელმწიფო დანახარჯები სხვა მოდელზე შედარებით მაღალია, რადგან სახელმწიფო წარმოადგენს საჯარო სერვისების უმთავრეს მიმწოდებელს. მეცნიერთა აზრით, ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარებიდან მიღებული ცოდნა საჯარო სიკეთეს წარმოადგენს. ბიზნესისთვის ნაკლებად მიმზიდველია ინვესტიციები ამ მიმართულებით, რადგან პირდაპირი სარგებლის მიღების პერსპექტივა ბუნდოვანია, ამასთან ერთად, შექმნილი ცოდნით ისარგებლებს არა მხოლოდ უშუალოდ ინვესტორი, არამედ სხვა კონკურენტი ფირმებიც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს კერძო ხარჯების გაზრდას და მიღებული სიკეთეების სოციალიზაციას. ეს, ბუნებრივია, არ ჯდება მოგებაზე ორიენტირებული ფირმის ინტერესებში. შესაბამისად, აქ იკვეთება სახელმწიფოს როლი, რომელიც ინვესტირებას აკეთებს ცოდნის წარმოებაში. ეს თავისთავად ქმნის საჯარო სიკეთეს, რისი მოსარგებლეებიც არიან როგორც ინდივიდები, ასევე კერძო ბიზნესიც. ამიტომაცაა, რომ ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს. (Marginson, 1993) საკმაოდ მაღალია სახელმწიფო დანახარჯების და მათ შორის განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი GDP-ში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 2006–2016 წლებში ევროკავშირში სახელმწიფო დანახარჯების წილი GDP-ში შეადგენდა 47%-ს. OECD-ის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 41.9%-ს აღწევს. (Khundadze, 2017) აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში სწავლებისა და კვლევისთვის დაფინანსების 80%-ზე მეტი სახელმწიფოზე მოდის (Barbara, 2011).

განსხვავებით ევროკავშირის ქვეყნებისგან, საქართველოში სახელმწიფო დანახარჯების წილი GDP-ში საშუალოდ 31 პროცენტს შეადგენს. GDP-სთან მიმართებაში

ევროკავშირში განათლებაზე დანახარჯები 4,9%-ია (2016წ), საქართველოში კი - 3%. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში განათლებაზე გაწეული ხარჯი ბიუჯეტის 10,3%-ია, საქართველოში ეს მაჩვენებელი შეადგენს 10,9%. შედარებით სოლიდურად გამოიყურება განათლებაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯები ბალტიისპირეთის ქვეყნებში: ლიტვა (15.4%), ლატვია (16.2%) და ესტონეთი (15.1%). (Khundadze, 2017)

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში უმაღლესი განათლების დაფინანსების ხარჯების უდიდესი წილი სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის. საშუალოდ ევროკავშირის ქვეყნებში მთლიანად უმაღლეს განათლებაზე გაღებული დანახარჯების 79,9% სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის, სკანდინავიურ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 90%-ს აღემატება, ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში (პოლონეთი, ლიტვა, ბულგარეთი, ლატვია) კი 70%-ზე დაბალია. ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, შვედეთულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოსა და კორეაში უმაღლეს განათლებაზე გაღებული დანახარჯები მთლიანი დანახარჯების მხოლოდ მესამედს, ან მეოთხედს შეადგენს. (Chakhaia, 2013)

უმაღლესი განათლების დაფინანსების წყაროებში, სახელმწიფოსთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს შინამეურნეობების/ინდივიდების მიერ გაწეული ხარჯები და სხვა კერძო წყაროების მხრიდან დაფინანსება. ამ უკანასკნელზე განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ მაღალი წილი მოდის (შვედეთულ შტატებში-15,9%, გაერთიანებულ სამეფოში - 18,7% და კორეაში - 25,6%), განსაკუთრებით დიდია დაფინანსება ბიზნესებისა და ბანკების მხრიდან. საქართველოში, სამწუხაროდ, ეს პრაქტიკა არ გვაქვს, 2012 წლის მონაცემებით, უმაღლესი განათლების დაფინანსების 36% საჯარო სექტორზე მოდიოდა, დანარჩენი 64% კი შინამეურნეობების დანახარჯებს წარმოადგენდა. (Chakhaia, 2013) ვფიქრობთ, საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო, რათა ამ მიმართულებით განვითარდეთ და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელ ნაწილად ვაქციოთ განათლების დაფინანსების ხელშეწყობა.

ჯერ კიდევ 2015 წელს სახელმწიფოს მიერ განათლებისა და მეცნიერების პრიორიტეტად აღიარების შემდეგ საქართველოში გაიზარდა განათლების სამინისტროს დაფინანსების

ცხრილი 1. განათლების სამინისტრო დაფინანსება (მილიონი ლარი)

	2012წ.	2013წ.	2014წ.	2015წ.	2016წ.	2017წ.	2018წ.	2019წ.
განათლების სამინისტროს დაფინანსება (მილიონი ლარი)	626,8	675,9	741,1	840,8	975,2	1 172,5	1236,6	1,485,0
% ბიუჯეტის მთლიან გადასახდელზე	8,0	8,3	8,2	8,7	9,6	10,9	12,9	11,3

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- <https://mof.ge>

ცხრილი 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა			
				სულ ჯამი	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
00 00	სულ ჯამი	11,764,835.4	12,459,500.0	13,090,000.0	11,696,250.0	92,700.0	1,301,050.0
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,397,210.7	1,461,270.0	1,508,500.0	1,469,600.0	38,900.0	0.0
32 04	უმაღლესი განათლება	135,865.4	148,505.0	168,960.0	168,960.0	0.0	0.0
32 04 03	უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	151.3	150.0	170.0	170.0	0.0	0.0
32 04 04	საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა	6,771.4	6,910.0	6,910.0	6,910.0	0.0	0.0
32 04 05	ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა	0.0	0.0	200.0	200.0	0.0	0.0
32 04 06	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	24,246.1	16,015.0	14,560.0	14,560.0	0.0	0.0
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	61,421.6	65,600.0	65,470.0	65,470.0	0.0	0.0

წყარო: <https://matsne.gov.ge/>

მოცულობა. (იხ. ცხრილი 1) 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება გაიზარდა 99.6 მილიონი ლარით. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 2015 წელთან შედარებით განათლების და მეცნიერების დაფინანსება 15.98%-ით გაიზარა 134.3 მლნ. ლარი შეადგინა. განათლების სფეროს დაფინანსების ზრდის ტენდენცია გაგრძელდა მომდევნო წლებშიც - 2017 წელს შეადგინა 1 172.5 მლნ. ლარი, 2018 წელს - 1 236.6 მლნ. ლარი, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნა მილიარდ 485 მლნ ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ცვლილებაა ბიუჯეტის ხარჯების GDP-ს მიმართ 30%-იანი ზღვრის გაუქმება, რაც 2019-2025 წლებში დაგეგმილი განათლების სისტემის რეფორმის განხორციელების შესაძლებლობას ზრდის. 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში უმაღლესი განათლების სუბსიდირება წინა 2018 წელთან შედარებით 20 მლნ ლარითაა გაზრდილი და 169 მლნ ლარს შეადგენს. (იხ. ცხრილი 2) 48 მლნ ლარითაა გაზრდილი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გამოყოფილი სახსრები (2018წ - 91 მლნ ლარი, 2019წ - 139 მლნ ლარი. (<https://www.transparency.ge/>))

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსების ზრდასთან ერთად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით (<http://www.geostat.ge/>) ყოველწლიურად იზრდება სტუდენტთა და დოქტორანტთა რიცხვი (იხ. ცხრილი 3), მიუხედავად ამისა, მიმდინარე წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისთვის გამოყოფილი თანხები 2018 წელთან შედარებით შემცირებულია (იხ. ცხრილი 2), რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია.

საქართველო არის უმაღლესი განათლებისა და კვლევის ერთიანი ევროპული სივრცის წევრი და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ღირსეული ადგილის დამკვიდრება ამ საერთო ევროპულ სივრცეში. ქართველი ექსპერტების დიდი ნაწილის აზრით, საქართველოსთვის სასურველი მოდელი სწორედ წარმატებული ევროპული საგანმანათლებლო სისტემების გამოცდილებას უნდა ეფუძნებოდეს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტების მხრიდან საჯარო დაფინანსების მისაღებად ევროპაში ორი ძირითადი წესი მოქმედებს: ბლოკ გრანტების მიღება და მუხლობრივი დაფინანსება. მუხლობრივი დაფინანსების დროს უნივერსიტეტებს თანხა გადაეცემათ კონკრე-

ცხრილი 3.

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი	109.5	117.7	124.2	132.9	140.3	143.8	147.7
დოქტორანტების რაოდენობა, ერთეული	3040	3213	3410	3765	4076	3977	3512

წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=205&lang=geo

ტული დანიშნულებით, ბლოკ გრანტების შემთხვევაში კი უნივერსიტეტები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს როგორ გაანაწილონ დაფინანსება. (Chakhaia, 2013)

ჯერ კიდევ 2013 წელს, საქართველოს განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა (EPPM – The International Institute for Education) შემოგვთავაზა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარების ჰიპოთეტური მოდელი, რომლის მიხედვით, საქართველოსთვის ოპტიმალურადაა მიჩნეული დაფინანსების არსებული მოდელის მოდიფიცირება ისე, რომ შენარჩუნებული იქნას ვაუჩერული დაფინანსების ელემენტი, მაგრამ ამასთანავე შემოღებულ იქნას უნივერსიტეტების ბლოკ-გრანტების გზით დაფინანსების მექანიზმი დაფინანსების ფორმულის მეშვეობით. ჩვენი აზრით, მისაღებია ექსპერტთა გარკვეული ნაწილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაფინანსების ფორმულაში ტრადიციულ კომპონენტებთან ერთად, როგორცაა უნივერსიტეტებში დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა, უნივერსიტეტების შენობების ექსპლუატაციის ხარჯები, პერსონალის რაოდენობა და ა.შ., მნიშვნელოვანია, დავამკვიდროთ და პრაქტიკულად გამოვიყენოთ ევროპაში საკმაოდ პოპულარული ახალი კომპონენტი – შესრულების/პროგრესის ინდიკატორი, რომელიც მოიცავს სტუდენტების მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობას, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ინდიკატორებს, იმ სტუდენტთა რაოდენობას, ვინც შესაბამისი პროგრამების სრული კურსი გაიარეს. (Chakhaia, 2013)

უმაღლესი განათლების ფინანსურ ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სწავლის საფასურის ოდენობა და სტუდენტთა დახმარების მექანიზმები. საქართველოში ამჟამად არსებული კანონმდებლობით, სახელმწიფო გასცემს დაფინანსებას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. უმაღლესი განათლების დაფინანსების ტვირთი ძირითადად სტუდენტებსა და მათ ოჯახებს აწევთ. რაც ამწვევებს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენისათვის. შედეგი კი სტატუსშიერებულ სტუდენტთა სტატისტიკის სავალალო მატებაა. ამ შემთხვევაში გამოსავალი სოციალური გრანტების პროგრამის გაძლიერებასა და სტუდენტური სესხების განვითარებაში შეიძლება ვეძიოთ.

საქართველოს მთავრობის განათლების პოლიტიკის მთავარი გამოწვევები ასახულია „ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში 2019–2022 წლებისათვის. (<https://mof.ge/5187>) დოკუმენტის თანახმად, განათლების რეფორმა უნდა განხორციელდეს განათლების სისტემის ყველა საფეხურზე. ყურადღებაა გამახვილებული უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაზე. სახელმწიფო მხარდაჭერას უცხადებს ქვეყნის გაწევრიანებას ევროპული კვლევებისა და ტექნოლოგიების თანამშრომლობის ორგანიზაციაში (COST), ევროპის აკადემიაში (Academia Euro-

pea). დაგეგმილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის ეფექტიანი მოდელების დანერგვა; ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმის განხორციელება; უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების მექანიზმების სრულყოფა; დაწესებულებების ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა; ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და რეკომენდაციებთან (ESG) თავსებადი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების ამოქმედება, რაც შედეგად მოგვცემს განვითარებაზე ორიენტირებულ ინსტიტუციებს და მკვეთრად გაუმჯობესებული ხარისხის, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პროგრამებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას, საერთაშორისო აკრედიტაციების მექანიზმების განვითარებას. პრიორიტეტი ენიჭება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევების ინტეგრაციას. მნიშვნელოვანია “Erasmus +”-ის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობის გაძლიერება ახალგაზრდობის მობილობის, მათი ინოვაციური უნარების განვითარებისა და პოლიტიკის რეფორმების მიმართულებებით. ევროკავშირის EU4-Youth პროგრამის ფარგლებში კი განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ახალგაზრდებში დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

ვფიქრობთ, უახლოეს პერიოდში ყურადღება უნდა გამახვილდეს უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, ეფექტიანი მოდელების შემუშავებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ქვეყნის მასშტაბით თვალსაჩინოა უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, განსაკუთრებული ხელშეწყობაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან უმაღლესი განათლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია საქართველოში არსებული რეალობა (ოკუპირებული ტერიტორიები, რეგიონებიდან ახალგაზრდების გადინება) და ამ რეალობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ხელშეწყობაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან რეგიონებში, განსაკუთრებით კი – საზღვრისპირა და ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს მოქმედი სასწავლო დაწესებულებების განვითარებისათვის.

უნივერსიტეტების კერძო დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს უცხოელი სტუდენტები წარმოადგენენ. მათ მოსაზიდად კი აუცილებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და განსაკუთრებით რეგიონული უნივერსიტეტების საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება, დისტანციური სწავლების აქტიურად დანერგვა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება: სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებით, კვების ობიექტებით, სატრანსპორტო, სპორტულ-განმაცანსაღებელი მომსახურებით უზრუნველყოფა.

საქართველოს ძლიერ, რეგიონალურ სამეცნიერო ცენტრად გადაქცევისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს

მხარდამჭერი უმაღლესი განათლების პოლიტიკის გააქტიურება. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის გაძლიერება, საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების განხორციელება, სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერება.

ეკონომიკის განვითარებაში ახალი კურსდამთავრებულების, დამწყები მეწარმეების მიერ ინოვაციური მიდგომებისა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის მოტივირება და სტარტაპების ხელშეწყობი გარემოს შექმნა გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობას წარმოადგენს. ბოლო წლებში უნივერსიტეტებთან შექმნილი ინოვაციების ლაბორატორიები ორიენტირებულია, ხელი შეუწყოს ინოვაციებზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სტარტაპების შექმნას. ისინი წარმოადგენენ სამუშაო სივრცეს დამწყები კომპანიებისთვის და დამატებით ინვესტიციას სტარტაპ ეკოსისტემის ფორმირების პროცესში. (Giguashvili, 2018) საქართველოში უნივერსიტეტების ბაზაზე მთავრობის მიერ დაგეგმილი პრეაქსელერატორების მოწყობა, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტებში იდეების გენერაციას, მათ დახვეწასა და სტარტაპპროდუქტებად გარდაქმნას, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ზრდის, უმაღლესი განათლების ეკონომიკის საჭიროებებსა და მოთხოვნებთან კოორდინაციის მიმართულებით. (<https://mof.ge/5187>)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერა ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის „Horizon-2020“, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაფინანსების ახალ პერსპექტივებს სთავაზობს ქართველ მეცნიერებს, კვლევაზე ორიენტირებულ კომპანიებს, ინოვაციურ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თუ ერის მიზანი ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაა, ხოლო განათლების და, მათ შორის, უმაღლესი განათლების მაღალი დონე უპირობოდ უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას, მაშინ სახელმწიფოს ჩარევა განათლების სისტემის ფუნქციონირებაში მიზანშეწონილია, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ეს არ გულისხმობს განათლების სისტემაზე ტოტალურ კონტროლს. განათლების მენეჯმენტის აუცილებელ კომპონენტს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ექსპერტთა დიდი ნაწილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ცოდნის შექმნა, დაგროვება და გადაცემა, რაც უმაღლესი განათლების უპირველესი მოვალეობაა, მხოლოდ სწავლისა და კვლევის ერთიანობითაა შესაძლებელი. (<http://www.mes.gov.ge/>) სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განმსაზღვრელი ფინანსური უზრუნველყოფაა. საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში კერძო დაფინანსებას საკმაოდ მაღალი წილი უკავია. ვფიქრობთ, ოპტიმალური იქნება, თუ ამდანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო თავის თავზე აიღებს. საჭიროა, დაინერგოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შედეგზე დაფუძნებული ინსტიტუციური დაფინანსების მექანიზმები. ასევე, მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება. ვიმედოვნებთ, რომ ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის პირობებში, შესაბამისად გაიზრდება განათლების სისტემის და, მათ შორის, უმაღლესი განათლების დაფინანსების წილი მთლიან დანახარჯებში; ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით უმაღლესი განათლების ფინანსური მართვის ოპტიმალური მოდელის შერჩევა კი უზრუნველყოფს განათლების სისტემის მდგრად განვითარებას.

ლიტერატურა/REFERENCES

- Giguashvili G. (2016). Financial Aspects of the Management of Higher Education in Georgia. International Scientific Conference - «Education Management: Current Challenges and Development Perspectives» November 18-19, 2016. Gori State Teaching University. 2017. pp. 172. (In Georgian)
- Giguashvili G., Makasarashvili T. (2018). Peculiarities of Innovation Infrastructure Formation in Georgia, The Eleventh International Scientific Conference «Education and Science in the XXI Century: Reality, Challenges, Perspectives», Gori State Teaching University, November 16-17, 2018, Gori, Georgia. (In Georgian)
- N. Gregory Mankiw (2008), Principles of Economics
- Sartania V. (2001). Economics of Education (History, Theory, Perspective); Tb. 2001 (In Georgian)
- Chakhaia L. (2013). Higher Education and Research Funding and Financial Management. URL: https://www.tsu.ge/data/file_db/xarixsis_martvis_dep/ganatilebis-politika-2.pdf. (In Georgian)
- Khundadze T. (2017). Government Expenditures in Georgia and the European Union, URL: <https://1tv.ge/analytics/sakhelmwifo-danakharjebi-saqartvelosa-da-evrokavshirshi/-16.08.2017> (In Georgian) <https://mof.ge/5187>: Ministry of Finance of Georgia, Document of Basic Data and Directions of the Country for 2019-2022. (In Georgian) <https://commerciant.ge/>: URL: <https://commerciant.ge/ge/post/premieri-2019-wlis-biudjetshi-ganatilebis-seqtorge-1-6-miliardi->

- lari-iqneba-gatvaliswinebuli-2022-wels-ki-mshp-s-6-s-gautoldeba, 2009-03-08 (In Georgian) <https://matsne.gov.ge/>: The Legislative Herald of Georgia, Constitution of Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346> (In Georgian) <https://www.transparency.ge/> - 2019 Draft State Budget of Georgia: Analysis and Recommendations, URL: <https://www.transparency.ge/ge/blog/sakartvelos-2019-clis-saxelmcipio-biujetis-proektis-analizi-da-rekomendaciebi>, October 18, 2018 (In Georgian) <https://matsne.gov.ge/> - The Legislative Herald of Georgia, Law of Georgia, The State Budget of Georgia for 2019. (In Georgian) URL: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4419670?publication=0> <http://www.geostat.ge/> - National Statistics Office of Georgia, URL: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=205&lang=geo (In Georgian) <http://www.mes.gov.ge/> - Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia, Strategic Directions of the Education and Science System Development, URL: <http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf> (In Georgian)
- Law, J., & Van-Cauter, K. (2011). Internationalising Higher Education: The Role of the British Council. In P. Lane & M. Fraser (Eds.), *Franco-British Academic Partnerships: The Next Chapter* (pp. 166-176). Liverpool University Press. doi:10.5949/UPO9781846316777.024
- Welch, A. (2017). Higher Education and the Developmental State. In T. Carroll & D. Jarvis (Eds.), *Asia after the Developmental State: Disembedding Autonomy* (Cambridge Studies in Comparative Public Policy, pp. 359-387). Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/9781316480502.015
- Marginson, S. (1993). Economic policies in higher education. In *Education and Public Policy in Australia* (pp. 122-142). Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/CBO9780511559389.007
- Barbara J. Gabrys, Jane A. Langdale (2011). *The higher education system*. Cambridge University Press. Book: *How to Succeed as a Scientist*. 2011, pp 202-207. DOI:<https://doi.org/10.1017/CBO9781139015561>